საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

04/08/2020
N 09-02-16/276

276-09-02-16-2-202008041414

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ტიტე არაშიძეს

ასლი: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

სადეპუტატო კითხვა

ბატონო ტიტე,
ბატონო დავით,

ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების მონიტორინგს, კერძოდ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით პროგრამებით გათვალისწინებული საქონელი და მომსახურება ხშირ შემთხვევებში მიწოდებულია ქართული ოცნების თანამდებობის პირებსა და მათ ნათესავებზე. აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებისათვის აუცილებელია ბენეფიციართა მონაცემების მოწოდება, კერძოდ მუნიციპალიტეტი, სოფელი/დასახლება, სახელი გვარი და მიწოდებული საქონელი და მომსახურება. მიუხედავად ჩვენი არაერთი მოთხოვნისა დოკუმენტების ასლები დღემდე არ არის მოწოდებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის კონტროლის განსახორციელებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო დაწესებულებებისა და იურიდიული პირების მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულებით 2018-2020 წლებში ბენეფიციარებზე მიწოდებული საქონელისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები, კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მოხდა ბენეფიციართა შერჩევა;
2. საჩითილე მეურნეობების ექსპლუატაციის ხარჯები და გამოყვანილი ჩითილების რაოდენობა, ჩითილების ბენეფიციარებზე გადაცემის მიღება ჩაბარების დოკუმენტების ასლები, ასევე ბენეფიციარების სია მუნიციპალიტეტების მიხედვით (მუნიციპალიტეტი, სოფელი, მიმღების სახელი, გვარი, გადაცემული ჩითილების დასახელება და რაოდენობა);
3. ქობულეთში გვარას სათბურების მშენებლობის საერთო ღირებულება, ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით საექსპლუატაციო ხარჯები თვეების მიხედვით, თვეების მიხედვით წარმოებული პროდუქციის დასახელება, რაოდენობა, ვის მიეწოდა წარმოებული პროდუქცია(მუნიციპალიტეტი, სოფელი, მიმღების სახელი, გვარი, გადაცემული ჩპროდუქციის დასახელება და რაოდენობა) და რა კრიტერიუმების მიხედვით მოხდა ბენეფიციართა შერჩევა;
4. მოვითხოვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ წერილობით განუმარტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტების მოწოდების დაყოვნება ან ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა არის კანონის დარღვევა, რაც ხელს უშლის უმაღლესი საბჭოს ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭო